1965/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებანი

№ 26 (295) 20 სექტემბერი 1965 წელი


## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება პირველი

518. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ ოქმის რატიფიკაციის შესახებ, რომ გაგრძელდეს ნეიტრალიტეტზე და ურთიერთთავდაუსხმელობაზე სსრ კავშირსა და ავღანეთის სამეფოს შორის 1931 წლის 24 ივნისს ქაბულში დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

519. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის შესახებ, რომ რატიფიცირებულ იქნეს სსრ კავშირის მთავრობისა და ერაყის რესპუბლიკის მთავრობის ოქმი საბჭოთა კავშირ-ერაყის 1959 წლის 16 მარტის შეთანხმებისა ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე.

520. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მდინარე დუნაიზე „რკინის ალაყაფის" რაიონში იუგოსლავიის მხარის მიერ ჰიდროენერგეტიკული და სანაოსნო სისტემის „ჯერდაპის" მშენებლობაში ეკონომიური და ტექნიკური დახმარების თაობაზე სსრ კავშირის მთავრობასა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

521. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე გამოსცეს კანონები, დადგენილებები და სხვა აქტები, რომლებსაც მიიღებენ უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი.

522. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების წესის შესახებ.

523. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

524. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ვ. პეტროვსკის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

525. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. აბდრაზიაკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

526. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. სადვაკასოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

527. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრის ე. ი. უშაკოვას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

528. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ მ. ა. ტოპჩიბაშევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

529. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ტოკმაგამბეტოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

530. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. გუსაროვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

531. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბ. მ. ბობკოვის და ს. პ. კიახერის შრომის წითელი დროშის ორდენით და ფ. კ. ბუსლოს და ა. ს. სუხანოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

532. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ვ. ბელიაევის მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, ამხ. ა. ბ. როდიონოვის და ამხ. პ. ლ. სერგეევის მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

533. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრის პ. ს. კორეპინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

534. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სერჟანტ ჩ. ი. ჩეკანავიჩუსის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

535. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. ს. ბერეზკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

536. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. კანდრენკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

537. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ვ. პალადინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

538. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ნ. მამონტოვასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

539. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. ი. ფედოროვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

540. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. ტატარენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ზამბიას რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვერნონ ჯონსონ მვაანგამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰორსტ ბიტნერმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სერ ჯოფრი ჰარისონმა.

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და უგანდის მთავრობის შეთანხმების შესახებ ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი II

## განყოფილება მეორე

541. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. მამათელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

542. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაწილი I

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**518 იმ ოქმის რატიფიკაციის შესახებ, რომ გაგრძელდეს ნეიტრალიტეტზე და ურთიერთთავდაუსხმლობაზე სსრ კავშირსა და ავღანეთის სამეფოს შორის 1931 წლის 24 ივნისს ქაბულში დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ოქმი ნეიტრალიტეტზე და ურთიერთთავდაუსხმელობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ავღანეთის სამეფოს შორის 1931 წლის 24 ივნისს ქაბულში დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1965 წლის 6 აგვისტოს და მოწონებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მიერ, **რატიფიცირებულ** იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 სექტემბერი.
№ 3885-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**519 იმის შესახებ, რომ რატიფიცირებულ იქნეს სსრ კავშირის მთავრობისა და ერაყის რესპუბლიკის მთავრობის ოქმი საბჭოთა კავშირ-ერაყის 1959 წლის 16 მარტის შეთანხმებისა ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და ერაყის რესპუბლიკის მთავრობის ოქმი საბჭოთა კავშირ-ერაყის 1959 წლის 16 მარტის შეთანხმებისა ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე, ხელმოწერილი მოსკოვში 1965 წლის 17 მარტს და მოწონებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მიერ, **რატიფიცირებულ** იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 სექტემბერი.
№ 3886-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 520 მდინარე დუნაიზე „რკინის ალაყაფის“ რაიონში იუგოსლავიის მხარის მიერ ჰიდროენერგეტიკული და სანაოსნო სისტემის „ჯერდაპის“ მშენებლობაში ეკონომიური და ტექნიკური დახმარების თაობაზე სსრ კავშირის მთავრობასა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის მდინარე დუნაიზე „რკინის ალაყაფის“ რაიონში იუგოსლავიის მხარის მიერ ჰიდროენერგეტიკული და სანაოსნო სისტემის „ჯერდაპის“ მშენებლობაში ეკონომიური და ტექნიკური დახმარების შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1965 წლის 22 მარტს და მოწონებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მიერ, **რატიფიცირებულ იქნეს.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 სექტემბერი.

№ 3887-VI.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 521 იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე გამოსცეს კანონები, დადგენილებები და სხვა აქტები, რომლებსაც მიიღებენ უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აღდგენილ იქნეს ა. წ. 1 ოქტომბრიდან 1960 წლის აპრილამდე არსებული ის პრაქტიკა, რომ კანონები, დადგენილებები და სხვა აქტები, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მიერ, მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე გამოსცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

2. პასუხისმგებლობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის აქტების გამოქვეყნებისათვის დაეკისროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 სექტემბერი.

№ 3889-VI.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 522 რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების წესის შესახებ

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების წესის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების შეკითხვებთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სსრ კავშირის კონსტიტუციის 49-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე **ადგენს:**

განმარტებულ იქნეს, რომ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების მე-19 მუხლი, საფუძვლებისა, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წელი, № 1), ხელს არ უშლის ჩატარდეს, სადაც ამას მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები საჭიროდ ცნობენ, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე შექმნილი საარჩევნო ოლქების მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 სექტემბერი.
№ 3891-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 523 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1965 წლის 1 ოქტომბერს ქალაქ მოსკოვში მოწვეულ იქნეს სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 სექტემბერი.
№ 3934-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 524 ამხ. ბ. ვ. პეტროვსკის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ბორის ვასილის ძე პეტროვსკი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 სექტემბერი.

№ 3946-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 525 ამხ. ა. ა. აბდრაზიაკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თათრეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. აბდულჰაკ ასვიანის ძე **აბდრაზიაკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 4 სექტემბერი.

№ 3935-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 526 ამხ. ბ. სადვაკასოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ყაზახეთის კომპარტიის ჯამბულის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ბიმენდე **სადვაკასოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. **მიქოიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. **გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 4 სექტემბერი.

№ 3936-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 527 ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრის ე. ი. უშაკოვას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ბოსტნეული კულტურების სელექციისა და მეთესლეობის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი ელისაბედ ივანეს ასული უშაკოვა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 4 სექტემბერი.
№ 3937-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 528 პროფესორ მ. ა. ტოპჩიბაშევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამედიცინო მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით პროფესორი მუსტაფა აღაბეგ ოღლი ტოპჩიბაშევი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 4 სექტემბერი.
№ 3939-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 529 მწერალ ა. ტოკმაგამბეტოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით მწერალი ასკარ ტოკმაგამბეტოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 სექტემბერი.
№ 3940-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 530 ამხ. ნ. ი. გუსაროვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ნიკოლოზ ივანეს ძე **გუსაროვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 სექტემბერი.
№ 3941-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 531 ბ. მ. ბობკოვის და ს. პ. კიახერის შრომის წითელი დროშის ორდენით და ფ. კ. ბუსლოს და ა. ს. სუხანოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სიკვდილშემდგომ დაჯილდოვდნენ:

**შრომის წითელი დროშის ორდენით**

1. ბორის მიხეილის ძე **ბობკოვი** — თბომავლის მემანქანე.
2. სულო პავლეს ძე **კიახერი** — თბომავლის მემანქანე.

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით**

1. თევდორე კირილეს ძე **ბუსლო** — თბომავლის მემანქანის თანაშემწე.
2. ანატოლ სერაფიმეს ძე **სუხანოვი** — თბომავლის მემანქანის თანაშემწე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 სექტემბერი.
№ 3942-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 532 ამხ. ი. ვ. ბელიაევის მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, ამხ. ა. ბ. როდიონოვის და ამხ. პ. ლ. სერგეევის მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო ფასეულობათა დაცვის დროს გამოჩენილი თავგანწირულობისა და მამაცობისათვის **დაჯილდოვდნენ:**

**მედლით „შრომითი მამაცობისათვის“**

იოსებ ვლადიმერის ძე **ბელიაევი** — სახბანკის კურსკის საოლქო კონტორის ინკასატორი.

**მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“**

1. ალექსანდრე ბორისის ძე **როდიონოვი** — სახბანკის კურსკის საოლქო კონტორის ინკასატორი.
2. პეტრე ლუკიანეს ძე **სერგეევი** — სახბანკის კურსკის საოლქო კონტორის მძღოლი.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 სექტემბერი.
№ 3943-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 533 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრის პ. ს. კორეპინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თავგანწირული მოქმედებისა და მამაცობისათვის საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისას ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრი პეტრე სერგის ძე **კორეპინი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 სექტემბერი.
№ 3944-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 534 სერჟანტ ჩ. ი. ჩეკანავიჩუსის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

მეთაურის სიცოცხლის გადარჩენისას გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის სერჟანტი ჩესლავ იონას ძე **ჩეკანავიჩუსი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 სექტემბერი.
№ 3945-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 535 მწერალ გ. ს. ბერეზკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი გიორგი სერგის ძე **ბერეზკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 9 სექტემბერი.
№ 3948-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 536 ამხ. ა. ა. კანდრენკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კალუგის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ანდრია ანდრიას ძე **კანდრენკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. მიქოიანი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 სექტემბერი.
№ 3949-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 537 აკადემიკოს ა. ვ. პალადინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ალექსანდრე ვლადიმერის ძე **პალადინი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 სექტემბერი.

№ 3954-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 538 ამხ. ვ. ნ. მამონტოვასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საგაზაფხულო ხორბლის სელექციასა და მეთესლეობაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სამხრეთ-აღმოსავლეთის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს ამხ. ვალენტინა ნიკოლოზის ასულ **მამონტოვას** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 13 სექტემბერი.

№ 3956-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 539 მწერალ გ. ი. ფედოროვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი გენადი ივანეს ძე **ფედოროვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 13 სექტემბერი.

№ 3957-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 540 ამხ. ი. გ. ტატარენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამამულო მეღვინეობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სტავროპოლის მხარის პრასკოვეისკოეს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი მეღვინე ამხ. ივანე გაბრიელის ძე ტატარენკო დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 13 სექტემბერი.

№ 3958-VI.

## განყოფილება მესამე

### სსრ კავშირის უმაღლსი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა ზამბიას რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვერნონ ჯონსონ მვაანგამ.

საბჭოთა კავშირს ჩამოსულმა ზამბიას რესპუბლიკის პირველმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვერნონ ჯონსონ მვაანგამ 1 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ჯ. ჩ. სინიანგვე და პირველი მდივანი ზ. პ. მუმბა.

ა. ი. მიქოიანმა და ვ. დ. მვაანგამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. მათ აღნიშნეს, იმ მოკლე დროის მანძილზე, რომელმაც საბჭოთა კავშირსა და ზამბიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების დღიდან განვლო, მეგობრობის და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის მტკიცე საფუძვლებია ჩაყრილიო.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და ვ. ჯ. მვაანგას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა.

### სსრ კავშირის უმაღლსი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა გერმანიისს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰორსტ ბიტნერმა

საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰორსტ ბიტნერმა 3 სექტემბერს კრემლში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ელჩს ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, საბჭოთა კავშირში აკრედიტებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი რ. როსმაისლი, სავაჭრო წარმომადგენელი ე. კერბერი, სამხედრო ატაშე გენერალ-მაიორი რ. ფიშერი, საელჩოს მრჩევლები თ. ებერტი, პ. შლემი, რ. შტერნი.

ა. ი. მიქოიანმა და ჰ. ბიტნერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. სიტყვებში მათ აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობა ემყარება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, ჭეშმარიტ თანასწორობას და შეხედულებათა ერთობას ყველა უაღრესად მნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე. ძმური ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარება ორივე ქვეყნის ძირითად ინტერესებს შეესაბამება. სსრ კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ერთობლივი მეცადინეობით აქტიურად ცდილობენ მიაღწიონ ევროპის უშიშროების მყარი სისტემის შექმნას, გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას. ორივე ქვეყნის ის მისწრაფება, რომ შეინარჩუნონ მშვიდობა, სსრ კავშირის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული კავშირი, საიმედო ზღუდეა დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტთა რევანშისტული მისწრაფებების წინააღმდეგ.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ, ა. ი. მიქოიანსა და ჰ. ბიტნერს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სერ ჯოფრი ჰარისონმა.

სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სერ ჯოფრი ჰარისონმა 4 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ელჩს ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი ტ. ბრიმელოუ, სამხედრო-საჰაერო ატაშე ა. ნ. დევისი, სამხედრო-საზღვაო ატაშე ფ. ს. ჰოუპი, სამხედრო ატაშე ა. ვ. ინესი, მრჩევლები ტ. რ. სიუელი, ა. კ. როტნი, ტ. გარეტი.

სიგელებს რომ აბარებდა, სერ ჯოფრი ჰარისონმა აღნიშნა, საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხალხებსა და მთავრობებს შორის ვაჭრობის, კულტურული გაცვლა-გამოცვლის და მეცნიერების სფეროში უფრო მჭიდრო კონტაქტი დამყარდაო. ელჩმა განაცხადა, ყველაფერს ვიღონებ ამ ურთიერთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, იმისათვის, რომ ორივე ქვეყნის მთავრობებმა და ხალხებმა უფრო სრულად და უკეთ გაუგონ ერთმანეთს.

ა. ი. მიქოიანმა საპასუხო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, საბჭოთა კავშირი იმას ემყარება, რომ ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის შეიძლება და უნდა განვითარდეს როგორც ჩვენი ხალხების ინტერესებისათვის, ისე საყოველთაო მშვიდობის, ყველა ხალხის თავისუფლებისა და უშიშროების მიზნებისთვის. მან თქვა, სავაჭრო, კულტურული და მეცნიერული კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარება სასარგებლო იქნებოდა როგორც სსრ კავშირისათვის, ისე დიდი ბრიტანეთისათვის და ხელს შეუწყობდა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის პროგრესს.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ა. ი. მიქოიანსა და სერ ჯოფრი ჰარისონს შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ვ. ზიმიანინი.

## საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და უგანდის მთავრობის შეთანხმების შესახებ ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და უგანდის მთავრობამ, რომლებიც გამომდინარეობენ სურვილიდან, შემდგომ განამტკიცონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და უგანდის მთავრობას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა და დაამყარონ და განავითარონ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა, დაფუძნებული თანასწორობის, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის და ორივე ქვეყნის ეროვნული ღირსების და სუვერენიტეტის სრული პატივისცემის პრინციპებზე, 1964 წლის 30 ნოემბერს ქალ. კამპალაში დადეს შეთანხმება ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა 1965 წლის 27 მარტს, უგანდის მთავრობამ — 1965 წლის 9 თებერვალს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1965 წლის 7 აპრილს.

შეთანხმება ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია 1965 წლის 9 სექტემბრის № 35 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ზღვის ფსკერის ნავთობის საბადოს ათვისებაში მოპოვებული წარმატებებისა და შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 4 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს XXII პარტყრილობის სახელობის ნავთობსარეწავი სამმართველოს 75 მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ნავთობსარეწავი სამმართველოს უფროსი ბ. ა. გაჯიევი, № 2 ნავთობსარეწავის ნავთობის მოპოვების ოპერატორი ა. ი. ელიზაროვი, № 2 ნავთობსარეწავის ნავთობის მოპოვების ოსტატი მ. ა. ქამილოვი და სატრანსპორტო-სატრაქტორო საამქროს მძღოლი მემანქანე ს. ი. მინიკოვი.

„შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია 11 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 17, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 20 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 23 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

## ნაწილი II

### განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 541 ამხ. ვ. გ. მამათელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის რექტორი ამხ. ვლადიმერ გიორგის ძე **მამათელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი. 1965 წლის 13 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 542 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

„საქართველოს სსრ ატლასის“ მაღალ მეცნიერულ დონეზე შედგენისა და გამოცემისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. ალექსანდრე თევდორეს ძე **ასლანიკაშვილი** — „საქართველოს სსრ ატლასის“ პასუხისმგებელი სამეცნიერო რედაქტორის მოადგილე.

2. თეოფანე ფარნას ძე **დავითაია** — „საქართველოს სსრ ატლასის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

3. ალექსანდრე ყარამანის ძე **სამადბეგოვი** — „საქართველოს სსრ ატლასის“ ბეჭდვის ხელმძღვანელი.

4. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ჯავახიშვილი** — „საქართველოს სსრ ატლასის“ პასუხისმგებელი სამეცნიერო რედაქტორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 13 სექტემბერი.